ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N23

11 აპრილი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე, ზ. დავითულიანი, გ. გოცირიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე მოწვეული სტუმრები:

1. მაია სამხარაძე - სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
2. მომენატ გუსეინოვა - სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე;
3. მარინა სოროზნიშვილი - სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლის მასწავლებელი;
4. რიტა ხიდირბეგიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელი;
5. სალომე კერესელიძე - მოქალაქე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების თაობაზე.**

მომხსენებელი: ქალბატონი მაია სამხარაძე

თანამდებობა: სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც კომისიის წევრთა მიერ ერთხმად დამტკიცდა.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა სხდომაზე მოწვეული სტუმრები და აღნიშნა, რომ ისინი განსახილველ საკითხზე წარმოადგენდნენ დეტალურ ინფორმაციას.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა წარმოადგინა ბიოგრაფიული ცნობები ბატონი რუსტამ ისაევის შესახებ და განმარტა, რომ კომისიის სამდივნოს საკითხის შესწავლისა და ანალიზის მიზნით, ჰქონდა კომუნიკაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელთან, ბატონ ლევან ჯაფარიძესთან და პარლამენტში

მაჟორიტარ დეპუტატთან, ბატონ ბექა ოდიშარიასთან, რომლებმაც 218-ე საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების თაობაზე საკრებულოს დადებითი რეკომენდაციით მომართეს.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის აღნიშვნით, განათლებისა და კულტურის კომისიისთვის მიწოდებულ დოკუმენტაციაში საკმარისი ინფორმაციაა მოცემული ბატონი რუსტამ ისაევის ბიოგრაფიისა და დამსახურებების შესახებ. შესაბამისად, ამავე სკოლის სამეურვეო საბჭომ, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილა სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების ინიციატივა და შემდგომ მომართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. კომისიის თავმჯდომარემ საკითხთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, სიტყვა გადასცა ქალბატონ მაია სამხარაძეს.

მოისმინეს:

ქალბატონმა მაია სამხარაძემ განმარტა, რომ სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლა ორენოვანია და სწავლება ქართულ-აზერბაიჯანულ ენებზე მიმდინარეობს, შესაბამისად, სკოლის თანამშრომლების დიდი სურვილიც იყო, რომ სკოლას რუსტამ ისაევის სახელი მინიჭებოდა. მომხსენებლის თქმით, საკითხთან დაკავშირებით, დასაწყისში არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა მას შემდეგ, რაც მასწავლებლებს დეტალური ინფორმაცია წარედგინათ რუსტამ ისაევის პიროვნების შესახებ, მათთვის ცნობილი გახდა დამატებითი გარემოებები და ისინი დაეთანხმნენ სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭებას.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა დააზუსტა, რომ კომისიისთვის წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმის მიხედვით, სკოლისათვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭებას მხარი დაუჭირა სხდომის მონაწილე შვიდივე წევრმა. აგრეთვე, კომისიის სამდივნომ სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების ინიციატივის განხილვისას, შეისწავლა პარლამენტში კრწანისის რაიონის მაჟორიტარისა და ასევე, კრწანისის გამგებლის პოზიციები, თუმცა სახელის მინიჭების ინიციატივა საკრებულოს წარედგინა უშუალოდ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლის მიერ, რასაც დაეთანხმა ქალბატონი მაია სამხარაძე და აღნიშნა, რომ სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების ინიციატორები არიან უხუცესთა საბჭო და რუსტამ ისაევის ოჯახის წევრები, რაც სკოლის სამეურვეო საბჭომ სხდომაზე განიხილა და ერთხმად დაუჭირა მხარი.

კომისიის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა სკოლაში სახელის მინიჭების საკითხის განხილვისას, რაზეც ქალბატონმა მაია სამხარაძემ აღნიშნა, რომ დასაწყისში სკოლის მასწავლებლების გარკვეული ნაწილი არ იცნობდა რუსტამ ისაევის მოღვაწეობასა და სკოლის წინაშე დამსახურებას, თუმცა სკოლაში ჩატარებული ღონისძიების შემდეგ, მათ შეისწავლეს მისი ბიოგრაფია და მხარი დაუჭირეს სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების ინიციატივას.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ რუსტამ ისაევს ძალიან რთულ პერიოდში მოუწია სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლობა და დირექტორობა. დეპუტატის თქმით, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რუსტამ ისაევი ასევე იყო სოფელ სოღანლუღის (ფონიჭალის) საბჭოს თავმჯდომარე და შემდეგ საბჭოს მდივანი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან

გამომდინარე, მიაჩნია რომ კომისიამ მხარი უნდა დაუჭიროს სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისათვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების ინიციატივას.

ქალბატონმა რიტა ხიდირბეგიშვილმა მადლობა გადაუხადა სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელსა და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ ეროვნული უმცირესობებისთვის მნიშვნელოვანია მსგავსი პრეცედენტების არსებობა, ვინაიდან ხელს უწყობს ეროვნული უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციას. ქალბატონი რიტას თქმით, თბილისის საკრებულოსთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო მხარს უჭერს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს და მოუწოდა კომისიის წევრებს, მხარი დაუჭირონ სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისათვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების ინიციატივას.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვლადიმერ ძნელაძემ აღნიშნა, რომ რუსტამ ისაევის ბიოგრაფიის გაცნობის შემდეგ ირკვევა, რომ იგი დამსახურებული და ავტორიტეტული ადამიანი იყო და სკოლისათვის მნიშვნელოვანი საქმეები აქვს გაკეთებული. დეპუტატმა მიმართა ინიციატორებს, გაეხსენებინათ რაიმე კონკრეტული მოვლენა რუსტამ ისაევის ცხოვრებიდან და საქმიანობიდან. ამ მიმართვას შეუერთდა კომისიის წევრი, ბატონი ბექა დავითულიანი.

სიტყვა გადაეცა სხდომაზე მოწვეულ სტუმარს, ბატონ მომუნატ ისაევს, რომელმაც აღნიშნა, რომ არის რუსტამ ისაევის შვილიშვილი, დაბადებული და გაზრდილი საქართველოში. მისი თქმით, რუსტამ ისაევის ინიციატივით ფონიჭალაში აშენდა სამსართულიანი სკოლის შენობა, მანამდე მხოლოდ ძველი შენობა არსებობდა და ვერ აკმაყოფილებდა მოსწავლეების მოთხოვნილებებს. მისივე თქმით, რუსტამ ისაევს, თავისი დამსახურებების გამო, ფონიჭალის ნებისმიერი მცხოვრები იცნობს. მას ბევრი სიკეთე ჰქონდა გაკეთებული ქართველების, აზერბაიჯანელების, სომხებისთვის, ზოგადად, სოფელ ფონიჭალის განვითარებისთვის და არამხოლოდ განათლების მიმართულებით. რუსტამ ისაევის სოფელ ფონიჭალის საბჭოს თავმჯდომარეობისა და მდივნობის პერიოდში რამდენიმე ადგილას დაიგო გზის საფარი, მოგვარდა წყლის პრობლემა და სხვ.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ კომისიის მიზანია, გადაწყვეტილება ფაქტობრივ გარემოებებსა და არგუმენტებს ეფუძნებოდეს. დეპუტატის თქმით, სწორედ აღნიშნული მიზნით, კომისია დაუკავშირდა კრწანისის რაიონის გამგებელს, რომელიც მხარს უჭერს თბილისის №218 საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების ინიციატივას, რასაც იზიარებს პარლამენტში კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. ქალბატონ თამარ ტალიაშვილის თქმით, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნათელია, რომ ბატონი რუსტამ ისაევის საქმიანობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სკოლის, არამედ რაიონისთვის, რადგან უფრო მეტმა ადგილობრივმა მცხოვრებმა მიიღო განათლება ახალი, სამსართულიანი სკოლის შენობის აშენებით.

კომისიის თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ თბილისის №218 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას ამ საკითხთან დაკავშირებით კომუნიკაცია ჰქონდა საქართველს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. თამარ ტალიაშვილმა დაზუსტებისთვის მიმართა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ქალბატონ მაია სამხარაძეს კითხვით, უჭერს თუ არა მხარს თბილისის №218 საჯარო სკოლისთვის რუსტამ ისაევიის სახელის მინიჭების ინიციატივას, რაზეც

ქალბატონმა მაიამ განაცხადა თანხმობა და აღნიშნა, რომ სკოლის პედაგოგებიც იმავე პოზიციას იზიარებენ. ქალბატონმა მაიამ დააზუსტა, რომ სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭოს სურვილია, სკოლის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - რუსტამ ისაევის სახელობის ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლა“.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, მარიკა დარჩიამ, ვლადიმერ მნელაძემ, ბექა დავითულიანმა, რუსტამ ისაევმა და მაია სამხარაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ,,სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისათვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიცირების დადებითად შეფასების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მომხრე _____	7
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	0

გადაწყვიტეს:

(ერთხმად) განათლებისა და კულტურის კომისია დადებითად აფასებს ,,სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლისათვის რუსტამ ისაევის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ინიცირების საკითხს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილების 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი